ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №123

2021 წ. 11 ნოემბერი ქ.თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

14:00 სთ

მოწვეული სტუმრები:

საფინანსო საქალაქო სამსახური- ლევან მიქავა

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - დავით უთმელიძე.

კომისიის წევრები: ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, ლევან ჟორჟოლიანი, ვაჟა ოთარაშვილი, ბორია ფირცხელიანი.
კომისიის სხდომა უფლებამოსილია.

სხდომას თავმჯდომარეობდა დავით უთმელიძე.
სხდომის თავმჯდომარემ კომიიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.(საკრ.№15-03213143-03;11-01213133315)

ლევან მიქავას მოხსენებით, ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის მოთხოვნით,თბილისის მასშტაბით ავარიული შენობა-ნაგებობების გამაგრება-გაძლიერების შესრულებული სამუშაოების ანაზღაურებისათვის, პროგრამას „ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება“ ემატება 500 000 ლარი, „საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქციის“ პროგრამაში არსებული ტენდერის შედეგად მიღებული ეკონომიების ხარჯზე.

გარდა ამისა სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითრების სააგენტო წერილობით მოთხოვნაში აღნიშნავს, რომ ამ ეტაპზე ვერ ხერხდება მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტის და საავტობუსო ტრანსპორტის განვითარების მიზნით გამოყოფილი 5 000 000 ლარის ათვისება, ამიტომ თანხის ნაწილის 760 130 ლარის გადატანა ხდება „მგზავრთა აღმრიცხველი მთვლელების“ ღონისძიებებისათვის , ხოლო 4 239 870 ლარი გადადის „საქალაქო სამგზავრო ტტრანსპორტის სუბსიდიის“ პროგრამაში.

მომხრე- 6

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ინფტრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური და სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, ითხოვენ მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის me-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილის დანართის შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე



დავით უთმელიძე